



მენორა

გამოდის
1993 წლის
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული ბაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

המנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ნომერი
(ხმშვან) №11 (397)
(5776)
2014

„הננו“

עיתון יהודי

בגרוה

რომ არა ბიძინა ივანიშვილი...

თითქმის ორი ათეული წელი გრძელდებოდა ძებნა იმ პიროვნებისა, ორგანიზაციისა, რომელიც წაქცევის, საბოლოო დაცემის პირას მდგარ ბეით ქნესეთის, ბოლო პერიოდში კი საქართველოს ებრაელთა დ. ბააზოვის სახ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ნაგებობას ხელს შეაშველებდა-აღადგენდა. ვის არ მიმართა საქართველოს ებრაელობამ, მუზეუმის ხელმძღვანელობამ: თბილისის მერიას, ბიზნესმენებს, ისრაელის ხელისუფლებას, საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესს, „მენორას“ ფურცლებზე მუზეუმის დირექტორის გივი ღამბაშიძის რამდენიმე პუბლიკაცია-წერილი, მიმართვა დაიბეჭდა. ამაოდ.

ბოლოს თითქოს იმედის სხივიც გამოჩნდა: 2004 წელს საქართველოს პრეზიდენტის ისრაელში ვიზიტის წინ – მიღებული იქნა მთავრობის გადაწყვეტილება ნაგებობის რეკონსტრუქციის თაობაზე. თბილისის მერიას თითქოს დღე-დღეზე უნდა დაეწყო რეკონსტრუქცია, მაგრამ...

ეს დაპირებაც ამაოდ აღმოჩნდა.

და ბოლოს ისევ იმ პიროვნებამ მიიღო ბრძნული, კეთილშობილური გადაწყვეტილება, რომელმაც საქართველოში, ძალიან ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა – მრავალ ნაგებობას დაუბრუნა პირვანდელი სახე, მრავალი აღაშენა, - გამოჩინილმა მეცენატმა, ბიზნესმენმა ბიძინა ივანიშვილმა.



საქართველოს ებრაელთა დავით ბააზოვის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი არა რომელიმე ებრაელი ბიზნესმენის, გნებავთ, ბიზნესმენტა ჯგუფის, სწორედ ბიძინა ივანიშვილის ფინანსებით იქნა აღდგენილი. უზუნაესმა სწორედ მას გააკეთებინა ეს უკეთილშობილესი საქმე. რომ არა ბიძინა ივანიშვილის კეთილი ნება, ხვალ-ზეგეს ნაგებობა აგურ-აგურ იქნებოდა ასაკრები.

და აი, 2014 წლის 20 ოქტომბერს მუზეუმის რეკონსტრუირებული, ფაქტიურად კი ფერფლისაგან აღმდგარი შენობა, გაიხსნა.

შენობის გახსნისას გულთბილი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ლარიბაშვილმა**: „მსოფლიოში არ არსებობს ორი ერის ძმობის ისეთი მაგალითი, როგორც ქართველთა და ებრაელთა შორისაა. სწორედ საქართველოში გაჩნდა და დამკვიდრდა, ერთი შეხედვით, თითქოს სრულიად შეუსაბამო, მაგრამ დღეს უკვე ყველასთვის შესისხლბორცებული ცნება - „ქართველი ებრაელი“. ებრაელები ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს აღმშენებლობაში, ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. ისინი ქმნიდნენ და იზიარებდნენ ქართულ კულტურას, ემსახურებოდნენ საქართველოს, მაგრამ არასოდეს დაუკარგავთ თვითმყოფადობა. ჩვენს ქვეყანაში ისინი არასოდეს დამდგარან ასეთი არჩევანის წინაშე და სწორედ ამიტომაც ასე ორგანულად შეერწყნენ ჩვენს ხალხსა და გარემოს. ეს ურთიერთობები, ეს მეგობრობა ფასდაუდებელი მონაპოვარია. სასიხარულოა, რომ ამ მეგობრობასა და სიყვარულს მრავალი წლის წინ საქართველოდან წასული ებრაელებიც ინახავენ და უფრთხილდებიან. ისინი ისრაელშიც აგრძელებენ ქართული კულტურის პოპულარიზაციას. როგორც ამბობენ, ამით მეორე სამშობლოსთან კავშირსაც ინარჩუნებენ“, - მუზეუმის გახსნის ცერემონიაზე გულთბილი სიტყვები წარმოთქვეს ბიზნესმენმა და მეცენატმა ბ-მა **ბიძინა ივანიშვილმა** და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ **დავით უსუფაშვილმა**.

ახლა საქმე მუზეუმის თანამშრომლებზეა – მათ თავიანთი ჭეშმარიტად მეცნიერული, კეთილსინდისიერი შრომით უნდა დაადასტურონ ამ დიდი ამავისადმი პატივისცემა.

ბენიამინ ნეთანიაჰუ ქართველ და ებრაელ ხალხს 26 საუკუნოვანი მეგობრობის იუბილეს ულოცავს


ისრაელის პრემიერ-მინისტრი, ბენიამინ ნეთანიაჰუ ქართველ და ებრაელ ხალხს 26 საუკუნოვანი მეგობრობის იუბილეს ულოცავს.

მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, ნეთანიაჰუს მილოცვა პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ლარიბაშვილმა ისრაელის დელეგაციასთან გამართულ ოფიციალურ ვახშამზე მოისმინა.

„განსაკუთრებული ურთიერთობა ჩვენ ორ ერს შორის ეფუძნება საერთო კულტურულ ფასეულობებს. თქვენი ინიციატივა არის ხორცშესხმა ებრაული დიასპორის წვლილისა ქართველი ერისადმი. დარწმუნებული ვარ, რომ მომავალ წლებშიც გავაგრძელებთ თანამშრომლობის გაღრმავებას და ამით შევინარჩუნებთ 26 საუკუნოვან მეგობრობისა და ძმობის დიდ ტრადიციას“, - აღნიშნულია მილოცვაში.

პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ლარიბაშვილმა**, თავის მხრივ, ვახშამზე აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ისრაელთან მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდეს.

„ქართულ-ებრაულ ურთიერთობებს ღრმა ფესვები და დიდი ტრადიცია აქვს. ჩვენი ურთიერთობა დღესაც მჭიდროდ არის გადაჯაჭვული და ძალიან ძვირფასია ჩვენთვის. საამაყოა, რომ 26 საუკუნის წინ საქართველოს მიწაზე დაწყებული ჩვენი თანაცხოვრება და მეგობრობა სულ უფრო მყარდება. მსოფლიოში არ არსებობს ორი ერის ძმობის ისეთი მაგალითი, როგორც ქართველთა და ებრაელთა შორისაა. და ჩვენ მზად ვართ მეგობრობისა და ურთიერთობის ეს მაგალითი მთელ მსოფლიოს გავუზიაროთ“, - განაცხადა ირაკლი ლარიბაშვილმა.



პრემიერ- მინისტრის შეხვედრა უცხოელ რაბინებთან

21 ოქტომბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი ევროპის ქალაქების მთავარ რაბინებს შეხვდა. შეხვედრაზე გახლდნენ მოსკოვის, ოდესის, ბრიუსელის, ჟენევის, დორტმუნდის, რომის და სხვა ქალაქების მთავარი რაბინები. პრემიერ მინისტრმა ვრცლად ისაუბრა მრავალსაუკუნოვან ქართულ-ებრაულ ურთიერთობაზე.

იუვალ ფუქსი — თბილისის სავატიო მოქალაქე

ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში იუვალ ფუქსი თბილისობის დღესასწაულზე თბილისის სავატიო მოქალაქედ გამოაცხადეს. სურათზე აღბეჭდილია ის მომენტი, როცა თბილისის მერი დავით ნარმანია იუვალ ფუქსს სავატიო მოქალაქის მონმობასა და თბილისის სიმბოლურ გასაღებს გადასცემს.



ღირსეული წარსული ნათელი მოგავლისათვის წოდარ ფალავი (პარლაგაშვილი)

შალომ — საღამო თქვენდა!
„ჰაკარათ ჰაკოვ!“ — სიკეთის დანახვა, არდავინყება, მადლიერება — ეს რწმენა ებრაული რელიგიური მსოფლმხედველობის ერთ-ერთი ფუნდამენტალური პრინციპია და ისტორიით განმტკიცებული.

ღმ'ერთი იყოს თქვენი და ჩვენი ქვეყნების, ხალხების უანგარო მეგობრობის მფარველი!

ღმ'ერთი, რომელიც უკეთილშობილესი იერსახით შორეული გალაქტიკების წიაღში სუფევს და შესტკივა გული ყოველი მისი თაყვანისმცემელისთვის და ოდესმე, ვინდლო მისი ხიზლის (ებრ. ხიბა“ - „კეთილგანწყობა“, „სიყვარული“) ღირსი ჩვენც გავხდებით, თიხისგან ნაძერწი და თიხადქცეული არსებები, — სტუმრები ამა სოფლისა.

ჩვენი მეგობრობის ძირი სიკეთის ხილნარის ამონაყარია. დიახ — „ხის სიმალღე მინის ზემოდან კი არ იზომება, — ფესვებიდან!“

„ხემან ხენუმან ნაყოფიც ხენეში გამოიღოს“; ბუნებრივია, კეთილშობილი მცენარის ნაყოფი, თუნდაც მწკლარტე და უგემური იყოს, მარგებელია და ადამიანთა მოდგმის დაპურებაც ძალუძს.

21-23 ოქტომბერს, საქართველოში, თბილისში შეიმობენ (ღმერთის შეწვევით) ქართველთა და ებრაელთა მეგობრობის 26-საუკუნოვან იუბილეს. ეს იშვიათი ფენომენია მსოფლიოს ისტორიაში, სამაგალითო და ორივე ერისთვის საამაყო.

გულთხადი მადლობა საქართველოს მთავრობას, საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის მესვეურებს, საორგანიზაციო კომიტეტს და ყველას, ვინც ამ ისტორიულ ღონისძიებაში ძალ-ღონე მოიძია და ჩააქსოვა.

ნიუ-იორკის ქართველ ებრაელთა სალოცავთან არსებული შემოქმედებითი გაერთიანება „თარბუთი“ ამ ისტორიულ თარიღს უძღვინის სპეციალურ ალმანახს. მომზადების და, გამოცემისთვის გულწრფელ მადლობას ვუხდით ბატონოთარ სეფიაშვილს, ბატონ ირაკლი კრიხელს (უდიდესი შრომისა და ნაყოფისთვის), ყოველ მონაწილეს, „ისრაელის ცენტრს“, თსუ-ის ებრაული კულტურისა და იუდაიკის კაბინეტის ხელმძღვანელს აკად. გურამ ლორთქიფანიძეს და მის თანამშრომლებს — მეგობრული თანადგომისთვის და დახმარებისთვის; გამოცემის სპონსორებს.

თბილისში ზეიშია! — (წარმომადგენია „ირმების ქეიფი“ — ჯანსუღ ჩარკვიანი). ფიზიკურად ვერ ვესწრები, მენანება, გული მწყდება... მაგრამ თქვენსკენ მოდის...

შორიდან გეხვევით, გეფერებით!

აგერ, 43 წელია, საქართველოდან წამოვედი, მაგრამ მიუხედავად დროისა და სივრცობრივი ზღუდარებისა — ისტორია, წარსული, ბავშვობისა და ახალგაზრდობის წლები ეფემერული სიზმარივით არასდროს გახუნდება, — მითუმეტეს, თუ ადამიანს ხალასი და უშურველი ბუნება წინაპართა წიაღიდან მოსდგამს. დღესაც (ბავშვური სისპეტაკით) ძმური ურთიერთობა გვაქვს მე და ჩემს თბილისელ მეგობრებს: ჯიმი ჩარკვიანი, სოზარ აღნიაშვილი, ბარამ (ებრაულად — „ბარ-ამ“ — „ვაჟიშვილი ერისა“) ბარამიძე, ჯონდო ჯავახიშვილი; ნათელი სსოვნა ან განსვენებულია — რამაზ კიკნაძის, ალექსი ალექსიძის, იბესტი გურგენიძის, გია ქვიშვილის და სხვა (არ დამემდურეთ) მრავალი.

მართლაც, უცნაურია ებრაელი ხალხის ისტორია. ჰქონდათ ჟამი აღზევებისა და ჟამი ნგრევისა, დევნისა და გაბნევის მთელ დედამიწის ზურგზე („შენ — სისხლო ჩემო, სად არ დაღვრილო, შენ — სად არ გხვრება შავი ყორანი!“ — მუხრან მაჭავარიანი), აუნერელი, მაგრამ ნაწილობრივ მაინც აღწერილი ტანჯვა-წვალება. ისტორიულ სინამდვილეს შემორჩა მხოლოდ ის, ვინც თორასთან — რწმენასთან იყო მიკედლებული; თორასთან, რომელიც სამი ათას სამას წელზე მეტია მანათობელ



შუქურად მიუძღვის წინ ებრაელ ხალხს და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაფანტულებს თითქოსდა ერთ მაგნიტურ ველად კრავს... („რა ხალხი ვყოფილვართ!“ — სიმხა ადარი-აჯიაშვილი).

ებრაელთა დიასპორაში ქართველი ებრაელები ერთ-ერთი ძირძველი თემია — ასაკი 2600 წელი (შეიძლება მეტიც... საზოგადოედ ეს თემა უაღრესად საყურადღებოა! „თუ არა დღეს, მაშ, როდის? თუ არა ჩვენ, მაშ ვინ?“). ლოგიკურია, რომ შემდგომში ემატებოდა მრავალი (ებრაულად „რავ“ - „ბევრი“) ტალღა, უამრავი დაბრკოლების გადალახვის შემდეგ ებრაელები საქართველოში მოვიდნენ — მოვიდნენ თორით („ორ“ — „სინათლე“), კულტურით („კოლ თორა“ — „ხმა თორისა“), ღმ'ერთის რწმენით („ისმინე, ისრაელი! უფალი, ჩვენი ღმერთი, არს უფალი ერთი“), თავიანთი ადათ (ებრაულად „ადათ“ — „სათემო-რელიგიური“) - წესებით; ჩამოაყალიბეს მრავალი ჯამაათი („ჯამი ათი“, — სხვა ერებიც ხმარობენ ამ სიტყვას, მაგრამ შინაარსი მხოლოდ ქართულად აიხსნება — ჯამი ათი კაცის — „მინიანი“ — ებრაული ნუსით საზოგადოების სტატუსისთვის მლოცველ მამაკაცთა მინიმუმი).

ქართველმა ხალხმა ძმურად მიიღო სტუმარი — ებრაელი ხალხი. გერი (ებრაულადაც — „გერი“) ვიყავით, — მაგრამ შვილივით ვგრძნობდით თავს, ადგილობრივად ვითვლებოდით — ვუფრთხილდებოდით როგორც საკუთარს, თანამოზიარე ვიყავით ქართველთა ისტორიული ბედისა. გმირულად დაღუპულ სამას არაგველთა შორის, ვინ იცის, რამდენი იყო 2600 წლის წინ არაგვისპირას დასახლებულ ებრაელთა შთამომავალი. ქართველ ძმებთან ერთად ვიღვნოდით ჭირშიც და ლხინშიც; ქართველი ებრაელი არასდროს ყოფილა მოღალატე. საქართველოს ისტორიაში არცერთი ასეთი შემთხვევა არ არის.

ალსანიშნავია ის, რომ: სინაგოგაში (სა-

ლოცავში), რომელ ქვეყანაშიც არ უნდა იყოს, რაბი (სულიერი მოძღვარი) ჯამათთან ერთად ლოცავს და წარმატებას უსურვებს ადგილობრივ ხელისუფლებას, სახელმწიფოს და შემდეგ „ერეც ისრაელს“ და იერუსალიმს, რომლის სიყვარულს ებრაელი გულით ატარებს.

ორი ათასი წლის მანძილზე ებრაელი „ნეფე“ თავისი პირადი ბედნიერების ზენიტში — საქორწილო რიტუალის ამბიონზე („ხუფა“-ზე, „ქეთუბის“ — ქორწინების ხელშეკრულების გაფორმებისას) დამაგვირგვინებელ ფრაზაში „დარბეული იერუსალიმის“ ხსოვნის ალსანიშნავად საჯაროდ ამსხვრევს ჭიქას (ან თევფს) და შეჭვიცავს:

„თუ დაგივიწყო, იერუსალიმ, მეც დამივიწყოს მარჯვენამ ჩემმა. აეკრას ენა ჩემი სასასა ჩემსას, თუ არ გაგისხენო, იერუსალიმ, არ მოგამალლო სათავეში ჩემი ლხინისა“. (ფსალმუნნი, 137)

წავიდნენ?! საქართველოს მშობლიური სიყვარული თან წაიღეს ისრაელში, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში; ნათელი მაგალითი: „ნიუ-იორკ ტაიმსი“, 1979 წ. 12 დეკემბერი — ვრცელი სტატია — „საქართველოს ებრაელთა განსაკუთრებული მდგომარეობა“.

იერუსალიმში, „იად ვა შემ“-ის („ხსოვნა და სახელი“) მუზეუმის ხეივანში თითოეული ხე ამა თუ იმ ადაიანის სახელზეა დარგული. ესენი არიან „ხასიდეი უმოთ ჰაყოლამ“ — „მსოფლიოს ხალხთა წმინდანები“, რომელთაც ამაგი მიუძღვით ებრაელებზე — განურჩევლად ეროვნებისა; სამაყაოა, რომ მათ შორის ქართველი თანამემამულენიც არიან.

გავიხსენოთ საბა კლდიაშვილის ისტორია — 1905 წ. ოფსა.

1920-იანი წლები... საქართველოს ახლადშობილი რესპუბლიკა... მენშევიკური მთავრობის ემიგრაცია საფრანგეთში. ცნობილი მეცნიერი ექვთიმე თაყაიშვილი, მთავრობის წევრი იოსებ ელიგულაშვილი, — საქართველოს ეროვნული საუნჯის სათუთედ მოვლა-პატრონობა, უმნიკვლოდ დაბრუნება სამშობლოში.

25 წლის წინათ, კანადელი ქართველი ებრაელი ომარ სეფიაშვილის (ნ.ხ.) და ქართველი მწერლის ჯანსუღ ღვინჯილიას (ნ.ხ.) ეპიზოდი.

რამდენიმე წლის წინათ, ნიუ-იორკში, ბუხარელ ებრაელთა თეატრალურმა დასამა — „ალორძინება“ დადგა ავ. ცაგარელის „ხანუმა“. ჩვენმა თანამემამულემ — მხატვარმა სოსო ჯინჯიხაშვილმა (ნ.ხ.) განახორციელა სპექტაკლის სცენოგრაფია, ძველი თბილისის თვალწარმტაცი — მხატვრული წარმოჩენა, რომელმაც ალტაცებაში მოიყვანა ათასობით მყურებელი

ამერიკაში, ისრაელში, ავსტრიაში. სოსომ უანგაროდ იტვირთა და პირნათლად შეასრულა ქართული კულტურის დესპანის მისია.

დიახ, ქართველი ებრაელი იყო და არის ღირსეული მოქალაქე საქართველოშიც და მის გარეშეც.

ალსანიშნავია ქართველ ებრაელთა კულტურული ცხოვრების უაღრესად მნიშვნელოვანი ეტაპები:

1918 წელს, თბილისში, ახალციხეელ ებრაელთა სალოცავთან გაიხსნა ებრაული სამოქალაქო სასწავლებელი. მის ბაზაზე 1924 წელს ჩამოყალიბდა 102-ე შრომის სკოლა (შვიდწლედ) — შემდგომ თბილისის მე-8 შრომითი სკოლა. სხვა კლასიკურ საგნებთან ერთად ისწავლებოდა ძველებრაული ენა, ებრაული ლიტერატურა და ისტორია. პედაგოგები: ნათან ელიაშვილი, გერცელ ბაზოვი, ა.კოკილოვი და სხვ.

ამ სკოლაში აღიზარდნენ — დედაჩემი ლეა ჩაჩანაშვილი-პარლაგაშვილი (ნ.ხ.) და მამიდა თამარ პარლაგაშვილი (ნ.ხ.). აქ სწავლობდნენ: მორის (მორდებს) დანიელოვი, გერშონ, შალვა და ისაკ მერგელიშვილები, გერცელ ჩაჩაშვილი, პაპა დავარაშვილი, სონია ზაგდადლიშვილი, ლიზა ბათოშვილი და სხვ. ისინი შემდგომშიც მეგობრობდნენ, ხშირად იკრიბებოდნენ ჩვენს ოჯახში, ამიტომ ჩემს მესხიერებაში დიდი პატივითაა ჩაბეჭდილი მათი სამაგალითო, ღირსეული და ნათელი ხსოვნა.

ეს სკოლა იქცა ნამდვილ კულტურულ-ეროვნული მოღვაწეობის ცენტრად. შეიქმნა საზოგადოება „თარბუთი“ („კულტურა“). იმართებოდა ლიტერატურულ-მუსიკალური საღამოები; გერცელ ბაზოვიმ ჩამოაყალიბა თეატრალური დასი „კადიმა“ — ცნობილი რეჟისორია — დოლო ანთაძის ხელმძღვანელობით; იდგებოდა პიესები კლასიკურ და ებრაულ თემებზე. ყოველი სპექტაკლი იყო ეროვნული ზეიმი.

1924 წელს ნათან ელიაშვილის და გერცელ ბაზოვის თაოსნობით გამოვიდა ლიტერატურულ-პუბლიცისტური გაზეთი „მაკაველი“ (მხოლოდ სამი ნომერი, — მეოთხე სტამბაშივე იქნა განადგურებული). ამავე პერიოდში გაუქმდა თბილისის აშქენაზ ებრაელთა ორი სინაგოგა.

როგორც ცნობილია (სხვა წყაროებთან ერთად, ნეტარსენებული შოთა ბოსტანაშვილის და ალექსანდრა გეგეჭკორის შრომებიდან), დღევანდელი ანტონ კათალიკოსის და აბესაძის ქუჩების არეალში იყო აშქენაზ ებრაელთა ორი სინაგოგა:

1. „ძველი“, 1877 წლიდან; 1886 წელს ამ ადგილზე გაშენდა სალოცავის ახალი ნაგებობა (დღევანდელი მისამართი: აბესაძის ქ. 10). შემდგომ მასში განთავსდა „საქლარბკომიტეტი“.

2. „ახალი“, რომელიც ფუნქციონირებდა 1887-1913 წლებში. მის ბაზაზე 1914-1918 წლებში ააგეს ე.წ. „გუმბათებიანი სინაგოგა“ (დღევანდელი მისამართი: ანტონ კათალიკოსის ქ. 3).

1931 წელს თბილისში (აბესაძის ქ. 10) „საქლარბკომთან“ გაიხსნა მუშა-მოსამსახურეთა კულტურის სახლი (ხელმძღვ. მენაშე იეხისკელაშვილი).

1932 წელს დაარსდა კულტბაზა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ენერგიული და ნიჭიერი მორის დანიელოვი (შემდგომში საქ. დამს. ინჟინერი, ცნობილი პიბლიოგრაფი). ჩამოყალიბდა სხვადასხვა წრეები: დრამატული (ხელ. მ.იეხისკელაშვილი), ლიტერატურული (ხელ. გ.ჩაჩაშვილი), ეთნოგრაფიული (ხელ. მორდეს-მოტკე მამისთვალაშვილი), მხატვრული, მუსიკალური და სხვ.

კომპოზიტორ ი.ბარდანაშვილის გადმოცემით — ქართველ ებრაელთა ლოცვანი და საგლობლები პირველად 1930-იან წლებში მუსიკალურ ჩხირებზე ჩაიწერა მუსიკათმცოდნე პროფ. გრიგორ ჩხიკვაძემ სურამში ადგილობრივი ჯამათის წევრების შესრულებით. 1984 წლის ზაფხულში, ბათუმში ი. ბარდანაშვილს ჩაუწერია ებრაული საგლობლები



თბილისის ებრაული სკოლის მოსწავლეები: ცენტრში — ხახამ იაკობ ნათაშვილი და სკოლის ხელმძღვანელი ნათან ელიაშვილი

მორდებ (მოტკე) მამისთვალაშვილის მსრულებით (მოსე დანიელაშვილი — „მორდებ მამისთვალაშვილი — თბილისი, 1996 წ.)

გამოიცა „ლიტერატურული აღმანახი“. გაიხსნა მდიდარი ბიბლიოთეკა-სამკითხველო, ხოლო ეთნოგრაფიული სექციის ნაცვლად დაარსდა ქართველ ებრაელთა ისტორიის მუზეუმი (ეს იყო მშნლის წინათ — სიმბოლოურია!).

1933 წელს, შემოდგომას, კულტბაზის ინიციატივით ჩამოყალიბდა საქართველოს ებრაელთა მუზეუმის შექმნის საორგანიზაციო საბჭო, რომლის წევრები იყვნენ: პროფ. ალ.წერეთელი, დოც. გ.ჩიტაია, დოც. გ.წერეთელი, კულტბაზის ხელმძღვანელი მორის დანიელოვი, არონ კრიხელი, მოტკე მამისთვალაშვილი, კულიჯანოვი, იოსებ ქურჩიშვილი, დ.შაფთოშვილი და სხვ.

საბჭომ შეიმუშავა დებულება, დასახა ამოცანები. კულტბაზის მიერ შეგროვილი ისტორიული დოკუმენტების და მასალების ბაზაზე ამავე წელს, კულტურის სახლის შენობაში გაიხსნა საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, მისი დირექტორი (დაარსებიდან 1933-1948 წ.წ.) იყო არონ კრიხელი (1948 წელს, ისრაელის სახელმწიფოს ჩამოყალიბებისას, მისალაცი ტელეგრამის გაგზავნისთვის მოხსნეს როგორც სიონისტი, დააპატიმრეს, გადაასახლეს 1954 წლამდე).

სამუზეუმო კადრების მომზადების მიზნით, მუზეუმთან ჩამოყალიბდა ასპირანტურის მსგავსი კურსები — სტიპენდიით.

მსმენელები იყვნენ არონ კრიხელი, მოტკე მამისთვალაშვილი, ლუბა ელიგულაშვილი, ილია პაპისმედოვი და სხვ.

ლექციებს კითხულობდნენ ცნობილი მეცნიერები: „აღმოსავლეთ ქვეყნების ისტორია“ — პროფ. ალ. წერეთელი, „საქართველოს ისტორია“ — პროფ. ნიკო ბერძენიშვილი, „ანტროპოლოგია“ — პროფ. გიორგი ჯავახიშვილი, „ზოგად ენათმეცნიერებაში“ — პროფ. კარპეზ დონდუა, „ზოგადი ეთნოგრაფია და მუზეუმისმცოდნეობა“ — აკად. გ. ჩიტაია, „ძველ ებრაული ენა“ — აკად. გ. წერეთელი. ხედავთ?! რა ხალხი ედგა მხარში მუზეუმს და მფარველობდა მას.

გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით ჩატარდა კომპლექსური ექსპედიციები ებრაელებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში: ახალციხეში, ცხინვალში, ქარელში, კულაში, ბანძაში; სადაც ეცნობოდნენ ებრაელთა წარსულს და მიმდინარე მატერიალურ ყოფას; შეიძინეს მათი ყოფა-ცხოვრების ამსახველი ექსპონატები, დოკუმენტები. მათი დამუშავების შემდეგ, 1935 წელს მოეწყო პირველი საანგარიშო გამოფენა კულტურის სახლის ორ დიდ დარბაზში. გამოფენამ ფართო საზოგადოების ყურადღება, მონონება დაიმსახურა და ახალ შენობაში გადასვლამდე იარსება.

1936 წელს საქლარბკომი ლიკვიდირებულ იქნა; მუზეუმი გადავიდა განსახკომის გამგებლობაში. საქლარბკომის დირექციის ყოფილი შენობა გადაეცა მუზეუმს, დაიწყო მისი რეკონსტრუქცია — ე.წ. „გუმბათოვანი სინაგოგა“ (დღევანდელი მისამართი: ანტონ კათალიკოსის ქ. 13)

1937 წელს მოეწყო გამოფენა 4 დარბაზში. დამთავლიერებელი ეცნობოდა საქართველოს ებრაელთა რევოლუციამდელ და საბჭოთა პერიოდების ზოგიერთ ეპიზოდს და ასპექტს. ამის შემდეგ მუზეუმი შეუდგა „შრომების“ გამოცემას.

1940 წელს, ნ. ბერძენიშვილის, შ. ჩხეტიას, ს. იორდანაშვილის აქტიური დახმარებით მუზეუმმა გამოსცა თავისი „შრომების“ პირველი ტომი.

აქ სიამოვნებით მინდა წარმოვიდგინოთ ამონაწერი ილია პაპისმედოვის წიგნიდან „ნანახი, მოსმენილი, განცდილი“ (რომელიც, მისმა სიძემ — ბატონმა ოთარ სეფიაშვილმა მისახსოვრა) — 1986 წ. თელ-ავივი; გვ. 273:

„1940 წელი, ოქტომბერი. მუზეუმის დირექციამ დაამავალა „შრომების“ ერთი ეგზემპლარი პირადად გადაეცა სასიქადულო ქართველ მეცნიერ ივანე ჯავახიშვილისთვის... სიხარულს ვერ ვფარავდი. იმავე დღეს მივაპურე საქართველოს

სახელმწიფო მუზეუმს. მოკრძალებით შევდგი ფეხი მის სამუშაო კაბინეტში. ბატონი ივანე საწერ მაგიდას უჯდა; მაგიდაზე წიგნები და ძველი ხელნაწერები ეწყო. ჩემი შესვლისთანავე ფეხზე წამოდგა, ამხედ-დამხედა. თავმდაბლად მივესალმე. მან ხელი გამომიწოდა, სკამზე მიმითითა, — დაბრძანდითო — მითხრა; მერე თვითონაც ჩამოჯდა და დაბალი ტონით მომმართა: — გისმენთ.

ოდნავ აღელვებულმა მოვახსენე: — საქართველოს ებრაელთა მუზეუმის მუ-



შაკი გახლავართ, ბატონო ივანე! პატივი დამდეს ჩვენი მუზეუმის „შრომების“ პირველი ტომი მოგიძღვნათ — და წიგნი მის მაგიდაზე დავდე.

სახე გაუბრწყინდა, ფაქიზად აიღო შინდისფერ ყდაში ჩასმულ-აკიჩქული წიგნი, ჯერ გარეგნობა და ფორმატი შეათვალიერა — ისე, თითქოს რაიმე საუნჯე სჭეროდეს ხელში, სატიტულო ფურცელი მოსინჯა, სარჩევი ჩაიკითხა, გაღიმებული თვალებით შემომხედა და აღტიცებით წარმოთქვა: — ბარაქალა... უზომოდ მოხარული ვარ ასეთი დიდი საშვილიშვილო საქმე რომ წამოგინყათ, წარმატებებს გისურვებთ. ისტორიულ ცნობებზეა დაყრდნობილი ეს ნაშრომი, და საგულისხმოა, მისი მომდევნო წიგნები უთუოდ გარკვეულ წვლილს შეიტანენ ქართველ ებრაელთა და ქართველთა წარსული თუ აწინდელი კეთილმეზობლური დამოკიდებულების საკითხების გარკვევაში. მერე კმაყოფილი წამოდგა, ხელი გამომიწოდა და თავაზიანად მომმართა: — გთხოვთ ჩემი დიდი მადლობა მოახსენოთ მუზეუმის დირექციას და მთელ კოლექტივს.“

შემდგომში გამოქვეყნდა „შრომების“ კიდევ ორი ტომი.

1941 წელს, ომთან დაკავშირებით, აგვისტოში მოხდა მუზეუმის კონსერვაცია. მუზეუმის მატერიალური ქონების შემნახველად დარჩა მხოლოდ ერთი პირი — მუზეუმის დირექტორი არონ კრიხელი. ამ მუზეუმთანაა დაკავშირებული

ერთი საოცრად საბედნიერო „აღმოჩენა“ (რამიც დიდი წვლილი მიუძღვის მუზეუმის თანამშრომელს ილია პაპისმედოვს, რომელიც 1949-1950 წლებში — გაუქმებამდე იყო მუზეუმის დირექტორი). აქ მუშაობდა დარაჯად მომავალში ცნობილი სახალხო მხატვარი შალომ კობოშვილი. წარმოშობით ახალციხიდან იყო; შექმნა მთელი გალერეა უანრული სურათებისა, რომლებშიც შესანიშნავად ასახა ქართველ ებრაელთა, კერძოდ ახალციხელ ებრაელთა სოციალური ყოფა, ტიპაჟი. ჩაცმულობა, წეს-ჩვეულებები, რელიგიური რიტუალები. ილია პაპისმედოვმა მცირე მონოგრაფიაც გამოაქვეყნა ამ მხატვარზე. ეს თემა შესანიშნავადაა დამუშავებული ოთარ სეფიაშვილის ბრწყინვალე წიგნში „სსოვნა“, რომელიც 2005 წელს გამოიცა ამერიკაში ქართულ და ინგლისურ ენებზე და მოთავსებულია ვაშინგტონის „კონგრესის ბიბლიოთეკაში“. შემდგომ, ბატონმა ოთარმა ამ ხელოვანის ცხოვრებასა და შემოქმედებას საგულისხმო ნაშრომი — „მარტოსულობის ნათელ-ჩრდილი“ მიუძღვნა, რომელიც უკვე თარგმნილია ინგლისურ ენაზეც. ამ ნაშრომის წიგნად გამოქვეყნება-გამომუშავება საამაყოდ წაადგება ქართველ ებრაელთა და, საერთოდ, ქართულ კულტურას.

1950 წელს საბჭოთა კავშირში ანტი-სემიტის გრივალ აბოზოქრდა.

მუზეუმი დაიკეტა. ექსპონატები სხვადასხვა ფონდებში გაიბნა, დაიფანტა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა

(ცნობილი საზოგადო მოღვაწეების, მეცნიერების, მწერლების, კომპოზიტორების და მომღერლების, სპორტსმენების მიღწევათა ექსპონირება საამაყოდ წაადგება ქართველ ებრაელებთან ერთად საქართველოსაც).

იმედია, საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი ღირსეულად ამოუდგება მხარში მსოფლიოში ცნობილ და აღიარებულ მუზეუმებს: თელ-ავივის „ბეთ ჰათფუცოთ“ (სადაც 1992 წელს მოეწყო გამოფენა და ებრაულ ენაზე გამოიცა შესანიშნავი კრებული „ოქროსი საწმისის ქვეყანაში. საქართველოს ებრაელთა ისტორია და კულტურა“ — ავტორები დ-რი რახელ არბელი და დ-რი ლილი მალატი (მალაშვილი)).

ნიუ-იორკის „ჯუიშ მუზეუმი“ (სადაც ასევე მოეწყო თემატური გამოფენა ქართველ ებრაელთა შესახებ).

ისრაელის ბარ-ილანის უნივერსიტეტის „დაჰან ცენტრი“ (ხელმძღვანელი — ისრაელის პარლამენტის წევრი, დ-რი შიმონ ოჰაიონი), რომელმაც მოიზიდა მრავალი მკვლევარი და მიმდინარე, 2014 წელს ჩაატარა საინტერესო სამეცნიერო კონფერენციები: პირველი — გაზაფხულზე, თელ-ავივში; მერე — ახლახანს, სექტემბერში — თბილისში, სახელმწიფო უნივერსიტეტის ებრაული კულტურისა და იუდაიკის კაბინეტთან ერთად (ხელმძღვანელი აკად. გურამ ლორთქიფანიძე). გვეამაყება, რომ ამ დიდ ფორუმზე წარმოდგენილი იყო ჩვენი მეგობრის — მკვლევარი-პუბლიცისტის ირაკლი კრიხელის წიგნიც „დასაბამიდან მოაქვამამდე“ (თსუ-ის გამომცემლობა). ამ წიგნის პრეზენტაცია, სხვა ახალ წიგნებთან ერთად, სწორედ საიუბილეო დღეებში, მუზეუმის საზეიმო გახსნისას გაიმართება.

გვწამს, რომ ეს მუზეუმი იქნება ქართველ ებრაელთა კულტურის ცოცხალი მატრიანი, ძველი, ებრაელთა და ქართველთა მეგობრობის უქრობი ჩირაღდი.

მრავალჯამიერ — ლეხაიიმ!

P.S. დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმის დირექტორს — პროფ. გივი ლამბაშიძეს!

გილოცავთ ღირსესანიშნავ დღესასწაულს!

მაქვს პატივი და დიდი სიამოვნებით ვუძღვნი მუზეუმს:

1. ილია აივაზაშვილის წიგნს „ებრაელი ხალხის ისტორია — თანახის პერიოდი — ნაწილი პირველი“. დაწერილი ნიუ-იორკში, გამოცემული იერუსალიმში, 2000 წ. (ცნობისათვის: ეს წიგნი მოთავსებულია „ვაშინგტონის კონგრესის ბიბლიოთეკაში“)

მომავალში — შემდგომი ნაწილების მომზადებაში სხვებთან ერთად მეც სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას.

2. ფოტოსურათი — თბილისის ებრაული სამოქალაქო სასწავლებელი - 1918 წ.

3. ფოტოსურათი (ჩემი საოჯახო არქივიდან)

იერუსალიმში მცხოვრები ქართველი ებრაელები — „გურჯები“ - 1913 წ.

ელიზა ფალაგი ცოლ-შვილთან ერთად (ის ჩემი ბაბუის ძმაა. XIX საუკუნის ბოლოს თავის მშობლებთან ერთად გადასახლდნენ იერუსალიმში).

სურათთან დართულია ქართულ ჩოხაში გამონწყობილი მისი ვაჟის — რაფაელ ფალაგის ბარ-მიცვის (13 წლის - სრულწლოვანობის) აღსანიშნავი ზემის მოსაწვევი ბარათი ებრაულ ენაზე.

4. ფოტოსურათი (მომანოდა ირაკლი კრიხელმა), რომელიც გადაღებულია 1905 წელს და მოთავსებულია თბილისის ფუნქციონირის ქვედა სადგურის გამოსასვლელ დარბაზში.

სურათზე აღბეჭდილი დავითის ექვსქიმიანი ვარსკვლავები ყურადღებას იმსახურებს.

გაგრძელება მომავალში... ნახვამდის! გულითადი საუკეთესო სურვილებით და პატივისცემით!

ნიუ-იორკი ოქტომბერი, 2014 წ.

თანამედროვე ფსიქო-ნევროპათოლოგიის აბაგდარი — ისაკ მებრელიშვილი

ივსაკ ღავილი



ნაჩურჩულა თავისთვის: — განა, კი მხოლოდ მზე მოსტაცა ზღვამ თელ-ავივს?!... ენიგმატური დარჩა ეს მაშინ ჩემთვის, კონსტანტინესული მთარე — ენგურისებრი მოტაცების რემინისცენცია კი აღმიძრა: **ზღვისფერი გაქვს თვალები და თავად ჰგავხარ ზღვას, თუ არ შეგიყვარდები და მითხოვდები სხვას, მე ავისხავ მოლაღავე, აზჯარასა და ხმალს, გადმოვლახავ ადიდებულთ რიონსა და მტკვარს და მოგიკლავ გენაცვალე, მაგ ნაფერებ ქმარს, ზღვისფერი გაქვს თვალები და თავად ჰგავხარ ზღვას...**

ისაკ მებრელიშვილის გარდაცვალების ცნობამ ვაშინგტონიდან თბილისს გამოგზავრებულს მომისწრო. მიძიმედ განსაცდელია ასეთი ადამიანის დაკარგვა, ჩვენი გზები ხომ არაერთხელ გადაეხლართა ერთმანეთს: ჯერ მშობლიურ საქართველოში, თბილისში, შემდეგ დიდი რეპატრიაციის დაწყებისთანავე — 1972 წელს ისრაელში და ბოლოს მის უკანასკნელ ადგილ-სამყოფელში — გერმანიაში, კერძოდ ბერლინში. ისაკი — მეგობარი კოლეგა, მენტორი, ეროვნული საქმიანობის თავდადებული და რაც მთავარია, ვითარც ადამიანი და ადამიანების სულის მკურნალი. მისგან ვსწავლობდით ადამიანის სულის საიდუმლოებს, ღრმად და ფართოდ იყო ჩახედული მომიჯნავე დისციპლინებში: ფილოსოფია, ლიტერატურა, ისტორია, მისტიციზმი, ეზოთერული მეცნიერებები. ხშირად ვსაუბრობდით და ვკამათობდით კიდევ. შეუდრეკელი იყო თავის მყარად ჩამოყალიბებული შეხედულებების დაცვაში, თუმცა კი, როცა მოპაექრის პოზიციის სარწმუნოებას აღიარებდა, ამას ყოველგვარი ზედმეტი ორჭოფობის გარეშე აკეთებდა. მას უყვარდა თავისი ისრაელის ერი, შესტრფოდა მის ალორძინებას, წინსვლას, გაფურჩქვნას. იგი დიდი მებრელიშვილების შთამომავალი იყო, ფიცდადებული სიონისტები მისი ბიძაშვილი გერმონი, რომელიც არაერთხელ იყო დაპატიმრებული და რომელთანაც ამ სტრიქონების ავტორს არაერთი ერთობლივი შემოქმედებითი ეტაპი აკავშირებდა. ეს იქნებოდა საზოგადოებრივი მოღვაწეობა, ისრაელის ქართული რადიომაუწყებლობა, საგამომცემლო საქმე და რა თქმა უნდა, პოლიტიკური არენა. ჩვენი იატაკქვეშეთი საქართველოში, არაერთი ურთიერთ-საინააღმდეგო ასპექტებისა და მიმდინარეობების შემცველი, მსოფლიო გვსურდა რაღაც ახლის, ორიგინალურის გაკეთება იმ საბჭოურ სინამდვილეში, რაღას არ ნებოტინებოდა მაშინ კაცი. მატარებელი უკვე დაძრული იყო, საქმე კი იმას ეხებოდა რომელი ვაგონის კიბეს ავახტებოდით. სინამდვილე კი არამარტო მაბლონური და კაზუსტური იყო, არამედ რამდენადმე დამბნევი და სახტად დამტოვებელი. ისაკთან ერთად ჩვენც ვცდილობდით არა მარტო დავუფლებოდით ცოდნას, გაგვეფართოვებინა კვლევითი თვალსაწიერი, არამედ ერთი დამატებითი ნაბიჯი გადაგვედგა წინ, კერძოდ ჩვენი საყვარელი ერის საკეთილდღეოდ. ჩვენი თბილისური სტუდენტობის წლები მისი უშუალო დაკვირვებებით მიმდინარეობდა. იმ 1960-იან წლებში ერთი შესანიშნავი თაობა დაგვტრიალდა თავს, ვგამხნევედა და სტიმულს გვაძლევდა. რა დავავიწყებ განსვენებულ მიხეილ დავითაშვილს „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორს, მის გაზეთს ხომ ყურადღებით კითხულობდნენ, როგორც აგროსისტიკაში დასაქმებულნი, ასევე სტუდენტები და ინტელიგენტი. მისი კეთილი სახე, გასაოცარი შრომისუნარიანობა, აი, ვზივართ მის კაბინეტში, მაგიაზე დახვავებულია წიგნები და გაზეთების ნომრები, გამოქვეყნებული და ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი ნერილები, სტატიები. შეიძლება ითქვას, ეს გაზეთი ფაქტობრივად ყოვლისმომცველი, პრაქტიკულ ინფორმაციას აწვდიდა მოსახლეობას. დღეობით რიგი იდგა არა იმდენად „კომუნისტის“, „პრავდის“ თუ „იზვესტიის“ შესაძენად, არამედ „სოფლის ცხოვრებისა“: აქ გამოქვეყნდა პირველად რეპორტაჟი ჩვენი პოლიგლოტობის შესახებ. ისაკ მებრელიშვილი სიხარულით ხვდებოდა ასეთ ცნობებს, მას გარკვეულწილად ეამაყებოდა კიდევ ყველა ჩვენიული წარმატება, და ამდენად იგი მადლიერი იყო ბატონი მიხეილის. თუ არ ვცდებით, ზემელზე ცხობრობდა თავის შესანიშნავი, ფართოდ ნაკითხი და განათლებული მეუღლით — ქ-ნი ბერტა, აშქენაზი ქალი, მახსოვს მათი ნიჭიერი შვილები, განსაკუთრებით გოგონა ივდითი, ხშირად იკრიბებოდა ჩვენი მეგობრების წრე ისაკთან, ოჯახში, იგი შესანიშნავი მასპინძელი იყო, აქ იყრიდნენ თავს ჩვენი ლიტერატორები, პოლიტიკოსები, მხატვრები, შემოქმედების რომელი სფეროს წარმომადგენელს არ შეხვდებოდით აქ. ისაკი ხომ პოეტიც გახლდათ. რაოდენი ღრმა ესთეტიკური განცდით კითხულობდა იგი თავის ლექსებს, დახტერითული შესანიშნავი პატრიოტული სახეებით, პერსონაჟებით, სულში ჩამწვდომი თემატიკით. სხვებს უსმენდა ყურადღებით. იყო აზრთა გაცვლა-გამოცვლა, შთაბეჭდილებების გულწრფელი გაზიარება და საღამოების ბოლოს, როცა შუალამე გადასული იყო, გარკვეულწილად შეჯამება ხდებოდა გასული კვირისა თუ თვის, ვის რა წვლილის შეტანა სურდა საერთო საქმეში.

ისაკ მებრელიშვილი მრავალმხრივ ჩამოყალიბებული მეცნიერი იყო, არაერთი საინტერესო ნაშრომისა თუ ნარკვევის ავტორი, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, იგი იყო ექიმი — პრაქტიკოსი თავის პროფესიონალურ ცოდნას არ იმურებდა, რათა ადამიანებისათვის შევლა და შევლა მოეტანა. იგი შესანიშნავი თერაპევტიცაა ამ წლებში საქართველოში. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ისაკი ფსიქიკის მესაიდუმლე გვევლინება. იგი იჭრება დახლართული ნევროლოგიური სისტემის ლაბირინთებში, უჯრედს და მოლეკულას ერთმანეთს უკავშირებს და სათანადო დასკვნებს აკეთებს. მან ნევროპათოლოგია გარკვეულად მათემატიკურ სიზუსტემდე აიყვანა და სწორედ ამამია მისი დიდი დამსახურება. ვიმედოვნებთ მისი უშუალო კოლეგები ამ დარგში უფრო ვრცელად გააშუქდნენ ისაკისეული შემოქმედების აქ ასპექტებს. ჩვენი საუბრების თემა კი ძირითადად

ფსიქოლოგიის ზოგად ფილოსოფიურ საკითხებს ეხებოდა. ხშირად ვეხებოდი ევროპული ფსიქონალიზის საკითხებს, იგივე ფროიდი, იუნგი, ადლერი, ბროიერი, ბინსვანგერი, ფერენჩი, ლუ შალომე და რომელი ერთი არ გავიხსენო — ვენის, ციურიხისა და ბერლინის სკოლების წარმომადგენლები. ებრაელი სტუდენტობა ამ საკითხებთან დაკავებული და ამ მხრივ ისაკი, თავის ნიჭით და შორსანიერი განსწავლულობით გარკვეულ მენტორობასაც გვინედა, პირადად ჩვენც. უფრო კონკრეტულად ჩვენ გვსურდა გაგვერკვია ჭეშმარიტების არსი იმ გათიშვებასა და სტიმულთან დაკავშირებით, რომლებიც თან დაჰყვა ფსიქო-ანალიზს დღიდან მისი დაარსებისა, რაც გვიან წლებს უკავშირდება — დაახლოებით იმ პერიოდს, როცა არსდება მსოფლიო სიონისტური მოძრაობა. რაიმე კავშირი მათ შორის, კეთილი ინებეთ და ეძიეთ იგი საერთო გერმანულენოვანობაში, საზრისისა და ქვეცეობიერის დაპირისპირებაში, საცნაური ნაკვალევი ასიმილაციისა და რეფორმაციის. და მართალია ისაკთან პოლემიკისას ჩვენც გვინდოდა გაგვერკვია ვინ გამოდიოდა უფრო სარწმუნო ადრეულ ფსიქონალიზტიკოსთა საზოგადოებაში, მის რღვევამდე და უფრო მოგვიანებით. იყო ეს ფროიდი თავის ცნობილი თეორიით სექსობრივი ფაქტორის განმსაზღვრელი და დომინანტური როლის შესახებ, არაცნობიერთან მჭიდრო მიმართებაში [Uubewusstes] თუ იუნგი იყო მართალი თავის საკმაოდ აღიარებული არქეტიპების თეორიით. ისაკი ცდილობდა პირუთენელი და ობიექტური ყოფილიყო, მიუხედავად იმისა, რომ ფროიდი ებრაელი იყო, იუნგი კი შვეიცარიელი, ქრისტიანი.

აი, ახლა როცა ამ სტრიქონებს ვწერ, გარკვეული შელონებითა და მწუხარებით, ვაშინგტონიდან გამოფრენილი თვითმფრინავი ბერლინს უახლოვდება, ჩქარა მას გადაუვლის, იქ, სადაც ისაკის გაციებული ცხედარია მისი მიზარებული, 19 ოქტომბერი, 2014, შუალამე გადასულია, საათის ისარი ორს უახლოვდება. იყო იგი ბუმბერაზი თავისთავადი ინტელექტუალური პიროვნებულობით, დახვეწილი მანერებით, ხელოვნებით გატაცებული.

თვითმფრინავი ბერლინს შორდება საქართველოსკენ გაზღვრულად. ვითარ უყვარდა ისაკს საქართველო, განსაცვიფრებელი თბილისი. რაოდენაა სამწუხარო, რომ იგი ვეღარ შეესწრება არაერთ საინტერესო ღონისძიების ჩატარებას, როგორც საქართველოში, ასევე ისრაელში. ამ უკანასკნელში ისევე შეგვყარა ბედმა ერთად, სახელდობრ კირონში, ის მეორე სართულზე, ჩვენ მეოთხეზე მიმდებარე შესასვლელში ბინადრობდნენ საუკეთესო მეზობლები რონი მიხელაშვილი, მისი კლდემაშობილი მეუღლე ნელი, მათი ერთადერთი ვაჟიშვილი დავითი. აქაც გაგრძელდა იგივე სჯა-ბაასი, თუმცა კი ოდნავ შეცვლილ ტონალობაში, სხვა განზომილებაში, სხვა პარამეტრებში, მართალია ისაკი არ ტყდება თავის ეროვნულ-ისრაელურ სულისკვეთებაში, მაგრამ რაღაც გალიზიანება ეტყობა, თითქოს რაღაცერთა უკმაყოფილო და ეს მის პირად საკითხებს კი არ ეხება, არამედ — საზოგადოებრივს. იგი ხშირად გამოდის სხვადასხვა ოლიმთ [რეპატრიანტთა] გაერთიანებების ტრიბუნებიდან, მისი ხმა ისმის ქართულ და რუსულენოვან გადაცემებში, მისი სტატიები და ნერილები იბეჭდება მაშინ გამომავალ რუსულენოვან „ნაშა სტრანა“-ში და „ტრიბუნა“-ში, იგი იძლევა ინტერვიუებს, აქტიურობს, სურს გამოასწოროს სხვების მიერ დაშვებული შეცდომები, განსაკუთრებით ექიმთა ინტეგრაციისა და შრომადასაქმების განხრით. ეს იგივე ისაკია — მეზობელი, გაუტყვავი, შემართებული, მიზანსწრაფული. მაგრამ იგი სულ სხვა ისრაელის ნახვას მოელოდა, მას სულ სხვა სიონისტური პათოსი და აღტკინება ამოძრავებდა. მას სულ სხვა ქვეყნის და საზოგადოების ხილვა ენადა. იმედი გაუცრუვდა? გაიბზარა ის ისტორიული პატრიოტული გრძობა? თითქმის ყოველდღე ვხვდებოდი, გალიზიანებაც აშკარად ეტყობა. მადლობა გამჩენს, ცოლ-ქმარი მუშაობდა, მატერიალურად არ უჭირდათ, მაგრამ სულიერად? აი, ამის რა მოგახსენებ, ეს უკვე საჭირობოროტო საკითხი ხდებოდა თანდათან. გულის აცრუება?! სასონარკვეთა? ის ხომ ექიმი იყო —, სხვების მკურნალი და იქნებ ნიშანდობლივია: — რა აქიმი დასწულდესო... — დროდადრო ზღვაზეც გავდიოდით, თელ-ავივიმ ან მისი ღამაზი, წითელი კამკამა „ოპელ“-ით ანდა ჩვენი იმავე ფერის „ფორდ კორტინა“-თი. თან ჩემი პატარა ბიჭი ხაიმი მიგვეყვავდა და ისაკის გოგონა ივდითი. აი, ვდგავართ სანაპიროზე, ჩვენს უკან ღამეთუევი დიდი თელ-ავივი გაუფუნებს და დრტვინავს, ზღვა კი წყნარად მოაგორებს თავის შავ-ლურჯ ტალღებს. მზე ჩასვენების პირზეა ყვითელ-იისფრად იღებება პორიზონტი, რაღაც სისხლიერი დაჰრავს ცას, ვინ იცის რისი მომასწავლებელი, მაგრამ იმ წუთებში ისეთი შთაბეჭდილება ჩნდებოდა, რომ თითქოს ყოვლის ჩამწვდომი მზემ თავის სისხლიანი აბჯარი ჩამოიხსნა და ახლა დასასვენებლად იყო განწყობილი, სადღაც უხილავში მიივანება. უცრად ჩემმა ხაიმმა ხელი გაიშვირა მზისაკენ და ქართულად დაიძახა: — მამა, ძია ისაკ, შეხედეთ, მე უნდა დამეჭიროს ის ბორბალი და ზღვამ მოიტაცაო... — მე დავამშვიდე პატარა ბიჭი: — ნუ გეშინია, ხაიმ! დამშვიდდი, ხვალ დილით ისევე ამოცურდება ეგ ბორბალი, ჩვენ ისევე მოვალთ ძია ისაკთან ერთად, და შენ მას აუცილებლად დაიჭერი!... — ხედავდი, როგორ ენიმებოდა ისაკს, მას ოდნავ წონტალური ირონიანარები ღიმილი ახასიათებდა. ის კი

არ ვიცოდი ჩემთვის ვბუტბუტები ამას, თუ ისაკის გასაგონად, ყურადღებით კი მისმენდა. უყვარდა ბატონი კონსტანტინე გამსახურდიას პროზა, ღრმა ფსიქოლოგიზმით დამუხტული, რაღა თქმა უნდა, გალაკტიონი, პაოლო, ვალერიანი, ტიცციანი, კოლაუ, რომელი არ ჩამოვთვალათ. მოსწყდა კი საქართველოს, მაგრამ ისრაელში კი ვერ შეისისხლბორცა, ვერ მოახდინა მისი, ვითარც შემოქმედის აბსორბაცია. ეს ყველა ჩვენთაგანის ტრავმადია იყო, ასე რომ ძნელია დღეს რეტრო-სპექტრში ბრალი დასდო გინდ სიონისტებს და გინდ მოწინააღმდეგეებს. აბსოლუტური სიმართლე სადღაც სულ სხვა განზომილებაში მოიაზრებოდა. ანდა იყო მოსაზრებელი რა ჩვენც ვეკითხებოდით მაშინ ჩვენსათვის თავებს: განა კი საქართველოს, მის ბედნიერ მინა-წყალს გავურბოდით მაშინ?! საყვარელსა და სათნო, გულუხესა და მიაშიტ ქართველ ხალხს?! რა თქმა უნდა, არა და არა! ჩვენ ბოროტ-სახსენებელ კომუნისტურ წყობას გავურბოდით, ავსაძრახის მარქსისტულ ტვინ-გამონურვასა და გამოზანცას დამაყებულ, ცინიკურ-ნომენკლატურულ პატრიოტულ რეჟიმს, დაცემად საბჭოეთს. ეს თანაბრად ეხებოდათ რუსებს, უზბეკებს, ოსებს, უკრაინელებს, ტაჯიკებს, ბელარუსებს, რომელთა შორის ჩვენეული ებრაული დიასპორა იყო დამლილ-გაფანტული. ისაკი ფსიქოლოგი იყო და ამ სფეროში მკვეთრად ინიშნება ე.წ. ტრანსფერის ფენომენი, როცა ხდება გარკვეული ასოციაციური ბანდულის ქვეცნობიერი გადატანა სულ სხვა ობიექტზე, მოვლენაზე. ვფიქრობ, ისაკს თანდათან გადმოჰქონდა ყოფილი საბჭოური ნეგატიური შტამები ისრაელურ სინამდვილეზე. იგივე ცრუ-დემოკრატიზანას თამაში. იქ „მონოლითური“ კომპარტია, აქ პლურალისტული სიონისტური, თუ მოსიონისტო, ლიბერალურ-ცენტრისტული თუ თეოკრატიული პარტიები. მათ ჭიდილსა და შეხლამე-შემოხლას ისაკი ცნებებით მოვაჭრეთა დღეობას ეძახდა. ალბათ, რამდენადმე მართალი იყო, თუმც კი ვცდილობდით როგორმე დაგვეინტერესებინა და ჩაგვეთრია ჩვენიული, ფაბოტინისკისეული „ხერხუთის“ მოძრაობაში. ჩვენს მიერ ორგანიზებული, ისრაელის ქართველ ებრაელთა პირველი კონფერენცია 1972 წლის დეკემბერში შედგა „მეცუდას“ მადლით სხდომათა დარბაზებში. ორასამდე კაცი დაესწრო, აქ იყვნენ მ. ბეგინი, ი.შამირი, ხ. ლანდაუ, ბ. კეშეთი, მ. დეკელი, კ. ლივნი... 1990-იანი წლების თითქმის მითოლოგიური „მახთერეთის“ [იატაკქვეშეთი] ლეხ-ისა და ეცელ-ის მეთაურები, ისინი, ვინც ფაქტიურად ამარცხებენ ცნობიერი ბრიტანული იმპერიის „პალესტინაში“ უმონწყალო პოლკებსა და შეიარაღებულ ბრიგადებს. ჩვენც ხომ მათეულ ცენტრალურ კომიტეტში ვიყავით კოოპტირებული პირადად ბეგინის წარდგინებით. სულ ორმოცდაათამდე ცეკა-ს ნევრი. ისაკი ყურადღებით ადევნებდა თვალს ჩვენი რედაქციით გამოშვალ „სამშობლოს“, ჩვენს ნერილებსა და ესსებს რუსულენოვან „ნედელია“-ში და „სიონ“-ში რომ იბეჭდებოდა. ეს 1970-იანი წლების დასასრული იქნებოდა, როცა მან ერთ-ერთი საუბრის დროს უნებურად გვითხრა: — კარგია ყველაფერი რასაც აკეთებთ, მაგრამ გარემოებები გამოიწვევს არცთუ ისე შორეულ მომავალში ოდნავ კურსი შეცვალო... განა, კი წინასწარმეტყველებდა ისაკი მაშინ? გულთმისნობა? და აი, ჩვენი თანაცხოვრების ისრაელური პერიოდი ჩქარა ამოიწურა კიდევ. კირონში

მათი ბინა გაიყიდა, ჩქარა ისინი გერმანიის მკვიდრი ხდებიან, ბერლინში სახლდებიან, კერძო კლინიკას ხსნიან, საზოგადოებრივად ფეხს იკიდებენ, საცნაურად, სწორედ იქ, გერმანულ მიწაზე. ისაკი თითქოს გაცოცხლდაო, სული მოითქვა, გონება დაენმინდა. ამიერიდან ჩვენი კონტაქტების გერმანული პერიოდი იწყება თავისი ნიაღვრებითა და ნიშანვებებით. 1991 წელია. ჩვენ ისევ გერმანიაში ვართ, ჯერ კიდევ შამირისეულ მთავრობაში, ისაკი ბერლინს გვათვალისწინებდა: აი ცნობილი ტირ-გარტკეინი, აი, ისტორიული მარშების ბუღვარი შარლოტენ ბურგშტრასე, ყოველი გამორჩეული კუთხე, არქიტექტურული ღირსშესანიშნაობანი, მონუმენტები, მუზეუმები. ისაკს შეჰყვარებია ეს ქალაქი, ეს ხალხი რომელმაც, ისტორიული ცოდვების მიუხედავად, ესოდენ ბევრი მისცა კაცობრიობას. ისაკი თავისივე პროფესიაში, ფსიქო-ნევროლოგიაში ჩანს გაზრდილი. მათი ბერლინური სახლი ნამდვილ მუზეუმს ჰგავს. ერთ-ერთ ჩასვლაზე ვაჟის კერძო კლინიკაში მივყავარ, ეამაყება მისი, როგორც ექიმის წარმატება. თვითონ კი ასაკში შედის, სხვევის მკურნალობას მაინც არ ეშვება, მეუღლე ბერტა, მძიმე დასნეულების ნიშნებს ამჟღავნებს. მიუხედავად ამისა, ისაკის ყურადღება ჩვენდამი ისეთივე რჩება, როგორც ადრე — გაბმული საუბრები. იდეოლოგიური შეჭორვები და ბზარი ლიქუდში, 1992 წლის ზაფხულში ეცემა შამირის მთავრობა და მასთან ერთად ვეცემით ჩვენც, თუმც კი დროებით! ჩვენ ხომ იმ იატაკქვეშელთა გამოზრდილი პირმშონი ვართ, კი, მართალია, ისაკი გერმანიაში სახლობს, მაგრამ, ეძლევა ეკონომიური საშუალება არ მოსწყდეს საოცნებოსა და სანეტარო ისრაელის მიწას, აი, სწორედ იმ ზღვას, რომლის სანაპიროზეც „ზღვისფერი გაქვს თვალები...“ ვუბნობდით. ჩვენი პირადი ცხოვრების მესაიდუმლოც ხდება, ჩქარა ჩვენს მეზობლად ბათ-იამში შეიძენს ბინას, მალევე შენობაში, ფართო, ლამაზად და გემოვნებინად მოწყობილი. დამირეკავს, გამოდიო... მივდივარ მასთან, აივანზე ვსხედვართ, ზღვა შემოგვიციცინებს ისევ, შუალამის გადასვლამდე ვსაუბრობთ, მაცნობს მისეულ ახლად გამოცემულ ლექსებს ებრაულად თარგმნილს, ასევე ერთ-ერთ გერმანულენოვან ნაწარმოებს, ჩემს სიახლეებზე ამახვილებს ყურადღებას, უხარია ყოველი ახალი ჩვენეული ნიშანი თუ მონოგრაფია, იმას მეუბნება რომ შენმა წიგნებმა ჩემს ბიბლიოთეკაში თითქმის მთელი თარო დიკავაო, თითქოს ჩივილით, მაგრამ შემპარავი გამამხნეველები კილოთი გვეუბნება ამას. აი, ის მრავალენოვანი „ზამთრის ყვავილების“ არაბულად და ინგლისურად წერ ლექსებს, ახლა გერმანულადც სცადეო, დროდარო მარცხი, ვსაუბრობთ გერმანულად. ნიშანდობლივია: ქუთაისელმა ებრაელებმა უფრო გაიცნობიერეს გერმანული კულტურა, ენა, მეშვიდრეობა. ამასწინათ ვაზეთ „მენორას“ ფურცლებზე შევეცადეთ პირველად შუქი მოვფიქვინა ქართული გერმანისტიკის შესანიშნავი წარმომადგენლის განსხვავებული პროფ. ლეილა თეთრუაშვილის შემოქმედებისათვის. ისაკი, ლეილა და მრავალნილად იმავე ქუთაისის მკვიდრი ბორის გაბონოვი გარკვეულ წრეს ჰკრავდა, თუმც სხვადასხვა ნახანაგებსა და განიკვეთებზე. ისაკი გრძნობდა და მას, როგორც პროფესიონალს, არ შეეძლო

არ ეგრძნო, რომ მთავრობის დაცემის შემდეგ რაღაც მისტიკურ ძვრას აქვს ადგილი ჩვენში. თითქოს მართლდებოდა მისეული დიაგნოზი — განა კი ჩვენც და ჩვენი მსოფლმხედველობაც ხდებოდა ახლა გარდასახვების და გარდაფერების ობიექტი, ან იქნებ, მსხვერპლიც კი?! ეს ის პერიოდაა, როცა ჩვენი „რეველაციონარიზმის“ ინკუბაცია იწყება, რაღაც ახალი, ჯერ კიდევ არარსებული და მიუკვლეველი გზის ძიება. სულ ერთი მარტივი ფრაზით: სოციალურ-პოლიტიკური გარდაქმნების განხორციელებას [რევოლუცია] უშუალოდ უზენაესი განგების-მიერი ჩარევის, ანუ გამოცხადების [რეველაცია] ფონზე, ვითარც იდეოლოგიური ზედნაშენი და სოციალური ეთნოკრატია ვითარც ბაზისი და ინფრასტრუქტურა. ამასთანავე, ჩვენი მუდმივ რეზიდენტური გადანაცვლება აშშ-ში ახალ თვალსაზრისს ხსნის და აფართოვებს. ვაშინგტონშივე ჩამოდიან რიგ კონფერენციებზე ჩვენი მეგობრები ჯემალ აჯაიშვილი, გურამ ბათიაშვილი, მყარდება დაწყებითი კონტაქტი და თანამშრომლობა აშშ-ში საერთოდ, კერძოდ ნიუ-იორკში დამკვიდრებულ ებრაელებთან. ჩვენც ხშირი სტუმრები ვხდებით უძვირფასესი მენტორისა და სულიერი ხელმძღვანელი ადმორ მ. მ. შნეერსონის „კრაუნ ჰაიტის“ იემბაში, რომლის განთქმულ ბიბლიოთეკაში მოგვიანებით ჩვენი მრავალტომოვანი მონოგრაფიებიც იქნება წარდგენილი: „Revelationary Civilization in Extension“ და „Revelationism“. 2001 წელს ვაშინგტონში გამოიცა ორივე პროექტის პირველი ტომები, იწყება საინკუბაციო პერიოდის გადასვლა განხორციელების ფაზაში. ერთობ საპასუხისმგებლო მომენტს. განა კი გავართმევთ თავს ამას ფრიად მცირედი ამერიკული ნებაყოფლობით — ვოლუნტარული ჯგუფის საშუალებით და ფაქტურად არარსებული სახსრებით?! რწმენას და სულისკვეთებას, ვიტყვოდი კიდევ ისეთი თანამშრომლების, — მათ შორის განსაკუთრებით ქ-ნი რაია ჩარუხჩევა, — თავგანწირვითა და ყოველდღიური ქმედებითი მზრუნველობით. და აი ინიშნება პირველი შეხვედრები საერთაშორისო პოლიტიკურ-იდეოლოგიურ არენაზე და ისევ გერმანია, ბერლინი, ბუნდესტაგი, შეხვედრა ადგილობრივ პარლამენტარებთან, აზრთა გაზიარება, პრეზენტაცია, ისაკი წუხს, რომ ვერ ახერხებს მონაწილეობის მიღებას თუმც კი, მოგვიანებით მასთან შინ, საუბარში იგი იზიარებს გარკვეულად ჩვენელ კურსს, დადებითად აფასებს მომავალზე. ამიერიდან გერმანია, რიგ სხვა ნამყვან ევროპულ ქვეყნებთან ერთად ხდება ჩვენი ერთ-ერთი ძირითადი საყრდენი. ოდნავი პირადული დისკრეციით, ნოვალისის „შტურმ უნდ დრანგ“-ის რომანტიკულ სტილში თურქეთის ანტილიაში დასვენებისას ვეცნობით ქ-ნი რომანტი ბრუგმანს ჰამბურგიდან. მისი დაინტერესება ამ საკითხებით წერილების სერიით გამოიხატა, და მოყოლებული შავი ზღვიანული სენტიმენტალური ეროსით ვატაცება. განა კი ყველაფერი, ყოველი თითოეული სათუთი ადამიანური განცდა უნდა ემსახურებოდეს ჩვენეულ „რეველაციონარიზმს“?! ასეთი შეკითხვით მივმართავ ისაკ მეგრულიშვილს ბერლინში. მისი აზრის გაგება მწადაა, იგი ხომ ჩემი პირადი მკურნალიც ვახდა, და საცნაური კი ის იქნება, რომ სწორედ გერმანული გარემო, იგივე მიუნხ-

